საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N835 2026 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

„დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2025 წლის ანგარიშის“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე

1. „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, „დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2025 წლის ანგარიში“ წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2025 წლის ანგარიშზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ: საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ბაია კვიციანი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე